

შპს „ჯი აი ჯი“

ს.კ 4 2 7 7 1 8 2 4 0

2023 წლის ფინანსური ანგარიშგება

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგება -----

საქმიანობის შედეგების ანგარიშგება -----

ფულადი ნაკადების შესახებ ანგარიშგება -----

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები :

ზოგადი ინფორმაცია -----

ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები -----

სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა -----

სავაჭრო მოთხოვნები -----

სასაქონლო-მატერიალური მარაგები -----

ძირითადი საშუალებები -----

სავაჭრო ვალდებულებები -----

სასესხო ვალდებულებები -----

შემოსავლები -----

გადასახადები -----

ხარჯები -----

ანგარიშგების პერიოდის შემდგომი მოვლენები -----

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება -----

ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარებში)

	31/12/2023	31/12/2022	31/12/2021
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	43,353	52,206	28,740
სავაჭრო მოთხოვნები	908,852	509,932	134,113
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი	0	3,765	38,863
მარაგები	43,775	1,643	5,675
მზა პროდუქცია			
სხვა	43,775	1,643	5,675
სხვა მიმდინარე აქტივები	0	0	0
ბიოლოგიური აქტივები	0	0	0
თვითღირებულების მოდელით	0	0	0
გადაფასების მოდელით	0	0	0
გუდვილი	0	0	0
ძირითადი საშუალებები	3,055,083	1,927,352	858,045
სულ აქტივები	4,051,063	2,494,898	1,065,436
ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	128,342	323,523	63,133
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	18,128	3,400	49,532
საგადასახადო ვალდებულებები	76,595	54,329	0
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულება	808,954	282,796	125,000
სხვა ვალდებულებები	0	954	0
სულ ვალდებულებები	1,032,019	665,002	237,665

საკუთარი კაპიტალი			
კაპიტალი	0	0	0
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	3,019,044	1,829,896	827,771
სხვა კაპიტალი			
სულ საკუთარი კაპიტალი	3,019,044	1,829,896	827,771
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	4,051,063	2,494,898	1,065,436



საქმიანობის შედეგების ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარებში)

	31.12.2023	31.12.2022
ნეტო ამონაგები	7,019,468	2,997,043
საქონლის გაყიდვიდან	476,258	200,419
მომსახურების გაწევიდან	6,543,210	2,796,624
სხვა	0	0
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(1,192,446)	(897,553)
საწყისი მარაგები	1,643	5,675
მარაგების შესყიდვა	1,234,578	893,521

გადამუშავების დანახარჯი	0	0
საბოლოო მარაგები	43,775	1,643
საერთო მოგება	5,827,022	2,099,490
სხვა შემოსავალი	5,201	46,505
დასაქმებულთა ანაზღაურება	(597,416)	(-277,473)
ცვეთა და ამორტიზაცია	(162,275)	(84,183)
საპროცენტო ხარჯი	(68,850)	(-30,449)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(2,455,974)	(618,672)
სულ საოპერაციო ხარჯები	(3,279,314)	(964,272)
საოპერაციო მოგება	2,547,708	1,135,218
გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:		
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან:		
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)		
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	2,547,708	1,135,218
მოგების გადასახადი	(196,077)	(19,964)
მოგება/(ზარალი)	2,351,631	1,115,254
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი		
სხვა		
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:		
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)	2,351,631	1,115,254
კაპიტალი საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)	1,829,896	827,771
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	(1,162,483)	(113,129)
კაპიტალის სხვა ცვლილებები		
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	3,019,044	1,829,896

შპს “ჯი აი ჯი”

დირექტორი:



ფულადი ნაკადების შესახებ ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარებში)

	31.12.2023	31.12.2022
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	7,063,333	0
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	5,201	0
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	(7,069,497)	0
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	(963)	0
სავალუტო კურსის ეფექტი	(7,890)	0
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	52,206	0
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	43,353	0

შპს “ჯი აი ჯი“

დირექტორი:



ზოგადი ინფორმაცია.

შპს „ჯი აი ჯი“ (ს.კ : 427718240) შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმოა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო“-ს მიერ. (თარიღი : 19/11/2012).

საწარმოს იურიდიული მისამართია: საქართველო, გურჯაანის რაიონი, ს. ველისციხე

კომპანიის საქმიანობას წარმოადგენს სამშენებლო და მძიმე ტექნიკის იჯარა და მომსახურება, ასევე მიწაქვაბულის (კატლავანი) სამუშაოების შესრულება.

კომპანიის საქმიანობის ძირითადი ადგილია საქართველო.

კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელია რამაზი გარსევანიშვილი ასევე არის კომპანიის დირექტორიც.

ანგარიშგების ვალუტა: წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ქართულ ლარში.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა.

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება წარედგინება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურს, 2016 წლის 8 ივნისის „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად, რომლებიც მოქმედია 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გამოქვეყნებულია. „ანგარიშგების ვებგვერდზე მომხმარებელთა რეგისტრაციის, სუბიექტების მიერ ანგარიშგების წარდგენის და წარდგენილი ინფორმაციის გასაჯაროების წესის დამტკიცების თაობაზე“ ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტი ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2019 წლის 21 მაისის N5-6 ბრძანების ნორმების შესაბამისად.

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა და იგი ყველაზე საუკეთესოდ ასახავს კომპანიის ოპერაციებსა და კომპანიის სამოქმედო გარემოში მიმდინარე ეკონომიკური მოვლენების შინაარსს მონაცემები ასახულია ერთეულ ლარში, არასრული ციფრები (თეთრებში გამოსახული) დამრგვალებულია ერთეულ ლარამდე საზოგადოდ მიღებული წესით

სამართლიანი წარდგენა - არის სამეურნეო ოპერაციების, სხვა მოვლენებისა და გარემოებების კეთილსინდისიერად ასახვა, აქტივები, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების განმარტებებისა და აღიარების კრიტერიუმების შესაბამისად. მიმდინარე ანგარიშგებაში ყველაფერი ასახულია სამართლიანი წარდგენის პრინციპით.

ფუნქციონირებადი საწარმო - მიიჩნევა საწარმო თუ მის ხელმძღვანელობას განზარხული არ აქვს საწარმოს ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა. ან იძულებული არ არის, რომ ასე მოიქცეს. შპს „ბელო და კომპანია“ არც კი განიხილავს მსგავს ფაქტს და არც მსგავსი რისკების წინაშე არ დგას კომპანია. მენეჯმენტის შეფასებით, კომპანია გააგრძელებს ფუნქციონირებად საწარმოდ საქმიანობას, რაეალიზებას გაიკეთებს აქტივებს და დაფარავს ფინანსურ ვალდებულებებს ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში

შესადარისი ინფორმაცია - ჩვენი ორგანიზაციის მიერ გამქლავებულია წინა პერიოდის შესადარისი ინფორმაცია და თანხები. მიმდინარე პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი შინაარსობრივი მონაცემებისათვის, როცა ეს საჭიროა ფინანსური ანგარიშგების გასაგებად.

სავაჭრო მოთხოვნები.

სავაჭრო მოთხოვნები არის მომხმარებლებისაგან მისაღები თანხები წარმოშობილი მომსახურების გაწევის ან პროდუქციის გასხვისების შედეგად. თუ სავაჭრო მოთხოვნის დაბრუნება მოსალოდნელია ერთ საანგარიშგებო პერიოდში ან უფრო ნაკლებში, ის კლასიფიცირდება როგორც მოკლევადიანი აქტივი, წინააღმდეგ შემთხვევაში წარდება გრძელვადიან აქტივებში.

შპს „ჯი აი ჯი“ მუშაობს, რათა მაქსიმალურად მოახდინოს სავაჭრო მოთხოვნების დროული ამოღება და თავიდან აირიდოს სამართლებრივი პროცედურებ. მიუხედავად ამ ღონიზძიებებისა 2023 წლის 31 დეკემბრის მონაცემებით კომპანიას უფიქსირდება 908,852 ლარის სავაჭრო მოთხოვნები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები .

სასაქონლო-მატერიალური მარაგები აღიარდება მათი შეძენის თარიღით. სასაქონლო მატერიალური მარაგები ისეთი აქტივებია რომლებიც გათვალისწინებულია გასაყიდად ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში. სასაქონლო მატერიალური მარაგების შეფასება ხდება მისი თვითღირებულებით (თუმცა საჭიროებისას-ბაზარზე ცვლილებების შემთხვევაში, ფინანსურ ანგარიშგებაში შეიძლება ასახული იქნას თვითღირებულებასა და სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით). ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივი სამეურნეო პროცესისათვის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით. სასაქონლო მატერიალური ღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით დაშეიცავს დანახარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან ადგილზე მიტანასთან, გადამუშავებასთან და მის იმ მდგომარეობასთან რომელშიც ის იმყოფება.

ძირითადი საშუალებები .

ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს უშუალოდ დაკავშირებულ ხარჯებს და მომავალი ვალდებულებების სავარაუდო დღევანდელ ღირებულებას, ასევე შეძენის მიმდინარე ფასს. შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში. ძირითადი საშუალებები ბალანსში ასახულია ისტორიული ღირებულებით, რომელიც შემცირებულია დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ზარალით, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში და ექვემდებარება სასარგებლო მომსახურების ვადის ბოლოს აქტივის ჩამოწერას.

შპს „ჯი აი ჯი“ ძირითადი საშუალებები მოიცავს : სატრანსპორტო საშუალებებს და ელექტრო მოწყობილობებს.

ძირითადი საშუალებების ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით:

ცვეთის აღიარება მოგებაში ან ზარალში ხდება ძირითადი საშუალებების თითოეული ნაწილის სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადაზე ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდით, რადგან იგი ყველაზე ზუსტად ასახავს აქტივიდან მიღებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოსალოდნელ ათვისებას.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო გამოყენების ვადების გაანგარიშება ხდება მსგავს აქტივებთან დაკავშირებული გამოცდილების ფონზე.

სასარგებლო მომსახურების ვადები :

- სატრანსპორტო საშუალებები 8-22 წელი
- ელექტრო მოწყობილობები 3-8 წელი

სავაჭრო ვალდებულებები .

ფინანსური ინსტრუმენტი კლასიფიცირდება როგორც ვალდებულება თუ საწარმოს არა აქვს უპირობო უფლება, თავი აარიდოს ფულადი სახსრების ან სხვა ფინანსური აქტივის გადენას სახელშეკრულებო ვალდებულებების დასაფარად.

სავაჭრო ვალდებულებები არის მომხმარებლისთვის გადასახდელი თანხები, რომელიც წარმოიშვა მომსახურების გაწევის ან საქონლის მიწოდების შედეგად. თუ სავაჭრო ვალდებულების დაფარვა მოსალოდნელია ერთ საანგარიშგებო პერიოდში ან უფრო ნაკლებში, ის კლასიფიცირდება როგორც მოკლევადიანი ვალდებულება, სხვა შემთხვევაში ის კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი ვალდებულება.

სასესხო ვალდებულებები

საწარმოს ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული ყველნაირი ხარჯი უნდა აღიაროს როგორც ხარჯი იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც ეს დანახარები იყო გაწერილი.

2023 წლის 31 დეკემბრის მდომარეობით ჩვენი კომპანიას გააჩნია სასესხო ვალდებულე ბანაკთან 808,954 ლარის მდგომარეობით .

გაცვლითი კურსი	EUR/ლ	USD / ლ
გაცვლითი კურსი 2022 წლის 31 დეკემბერს	2,8844	2,7020
გაცვლითი კურსი 2023 წლის 31 დეკემბერს	2,9753	2,6894

სავაჭრო და სასესხო ვალდებულებები	31.12.2023	31.12.2022
სავაჭრო ვალდებულებები	128,342	323,523
სასესხო ვალდებულებები	808,954	282,796

შემოსავლები.

შემოსავლის აღრიცხვა ხდება მაშინ, როდესაც ეკონომიკური სარგებლის მიღების ალბათობა მაღალია და შესაძლებელია მისი საომედოდ შეფასება. შემოსავლების შეფასება ხდება სამართლიანი ღირებულების ოდენობით, ნებისმიერი სავაჭრო მოგების, ფასდაკლების, საბითუმო ფასდაკლების და დღგ-ს გამოკლებით. საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული შემოსავლების აღრიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კომპანია მომხმარებელს გადასცემს მფლობელობასთან და მართვასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებს და სარგებელს, ამავე დროს მომხმარებელი იღებს მათ საკუთარ თავზე

შპს „ბელო და კომპანიის“ შემოსავლები იყოფა რამდენიმე კატეგორიად :

შემოსავლები	31.12.2023	31.12.2022
საქონლის გაყიდვა	476,258	200,419
ტექნიკის იჯარა და მომსახურება	6,543,210	2,796,624
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები	5,201	46,505

გადასახადები

გადასახადები აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლებიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

კომპანია დროულად ისტუმრებს სახელმწიფო ბიუჯეტის წინაშე მის კუთვნილ დავალიანებას, არსებული დავალიანება რაც ჩანს ჩვენს ფინანსურ ანგარიშგებაში არის მიმდინარე თვის დავალიანება, რომელიც სრულად გასტუმრებული იქნება შემდეგი თვის 15 რიცხვამდე.

საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით საქართველოს საგადასახადო კოდექსში 2016 წლის 13 მაისს შეტანილ იქნა ცვლილებები, რომლის თანახმად კომპანიები არ გადაიხდიან მოგების გადასახადს 2017 წლის 1 იანვრიდან მიღებულ მოგებაზე, მანამ სანამ არ მოხდება აღნიშნული მოგების დივიდენდის სახით განაწილება.

2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე დაგროვილი მოგებიდან განაწილებული დივიდენდები ექვემდებარება გაერთიანებული მოგების გადასახადს, რომელიც შემცირდება გადახდილი მოგების გადასახადის წილის სახით დაანგარიშებული შესაბამისი

საგადასახადო კრედიტით, რომლის დეკლარირება და გადახდა მოხდა დასაბეგრ მოგებაზე და იმავე პერიოდში გადასანაწილებელ დივიდენდებზე გამრავლებულ საერთო წმინდა მოგებაზე. ამავე დროს საგადასახადო კრედიტის მოცულობამ არ უნდა გადააჭარბოდ დივიდენდის განაწილებაზე დაკისრებულ ფაქტიურ მოგების გადასახადს.

კომპანიის საგადასახადო აღრიცხვის პოლიტიკიდან გამომდინარე დივიდენდების განაწილების შედეგად დაკისრებული მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც დივიდენდების დეკლარირების პერიოდში მოგების გადასახადზე გაწეული ხარჯები. ფაქტობრივი გადახდის თარიღის ან შესაძლებელია დივიდენდების გადახდის პერიოდის მიხედვით.

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები .

ხარჯების აღიარება აქტივებისა და ვალდებულებების აღიარებისა და შეფასების პროცესის პირდაპირი შედეგია. მოგება - ზარალის ანგარიშგებაში ხარჯის აღიარება ხდება მაშინ, თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან. ან ვალდებულებების ზრდანსთან და შესაძლებელია მისი საიმედო შეფასება.

ხარჯების აღიარება ხდება უშვალოდ მის გაწევასთან დაკავშირებული შემოსავლების შეპირისპირების საფუძველზე.

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	31.12.2023	31.12.2022
შრომის ანაზღაურება	597,416	277,473
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი	162,275	84,183
მოგების გადასახადის ხარჯი	196,077	19,964
პროცენტის ხარჯი	68,850	30,449
სხვა ხარჯი	2,455,974	618,672
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	3,480,592	1,030,741

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები არის როგორც ხერლსაყრელი, ისე არახელსაყრელი მოვლენები, რომლებიც მოხდება საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ და ფინანსური ანგარიშგების გამოსაცემად დამტკიცებამდე:

ჩვენი კომპანია მაქსიმალურად ცდილობს მომხმრებლის ინტერესების დაკმაყოფილებას და ერთ სივრცეში, მაქსიმალურად მეტი მომსახურების შეთავაზებას ჩვენი სამუშაო სპეციფიკიდან გამომდინარე, ასევე ვცდილობთ ჩვენი ტექნიკის მუდმივ განახლებას და გაუმჯობესებას. ჩვენმა კომპანიამ 2023 - წლიდან მოახდინა როგორც თანაშრომელთა დაზღვევა ასევე ტექნიკის (თვითმცლელების) დაზღვევაც, რათა მაქსიმალურად მეტად კომფორტული გავხადოთ ჩვენი თანამშრომლებისთვის სამუშაო გარემო, ასევე გაუთვალისწინებელი ხარჯებისგან ავირიდოთ თავი დაზღვევის საშუალებით.

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება.

ფინანსური ანგარიშგება გამოსაქვეყნებლად ხელმოწერილია 27 სექტემბერს 2024 წელი.

შპს „ჯი აი ჯი“-ს დირექტორი



თარიღი: 2024 წლის 27 სექტემბერი